

თვითმმართველობა საქართველოში: საბაზისო საკითხები

ადმინისტრაციული დაყოფის დონეები

რაოდენობები

- რეგიონები 9
- ავტონომიური რესპუბლიკები 2
- მუნიციპალიტეტები 69

- თვითმმართველი თემები
- თვითმმართველი ქალაქები
- რუსეთის მიერ ოკუპირებული (5)

თვითმმართველი ორგანოები

მერი & მერია

მუნიციპალიტეტის საკრებულო

ადგილობრივი თვითმმართველობა

ხორციელდება მუნიციპალიტეტებში: თვითმმართველ ქალაქსა და თვითმმართველ თემში

მუნიციპალიტეტი

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა კოლექციური ადმინისტრაციული ორგანო - **მუნიციპალიტეტის საკრებულო**. ის აირჩევა 4 წლის ვადით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების მიერ, პირდაპირი არჩევნებით. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო და მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირი არის **მერი**. მერი აირჩევა 4 წლის ვადით, პირდაპირი არჩევნების გზით. **მერია** არის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსადმი დაქვემდებარებული დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს მერის უფლებამოსილების განხორციელებას.

თვითმმართველი თემი არის რამდენიმე დასახლების ერთობლიობა, რომელსაც კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვს ან მიენიჭება მუნიციპალიტეტის სტატუსი

თვითმმართველი ქალაქი არის ქალაქის კატეგორიის დასახლება, რომელსაც კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვს ან მიენიჭება მუნიციპალიტეტის სტატუსი.

